ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 67

ქ. ჯვარი მაისი 2023 წელი

შემსყიდველი: სსიპ კოლეჯი „ლაკადა“, წარმომადგენელი მისი - დირექტორის მ/შ თეანა ქუხილავას სახით.
მისამართი: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ # 2
ტელ: 595 50 67 32
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი:TRESGE22.
საიდენტიფიკაციო კოდი - 242728679;

მიმწოდებელი: შპს „სუფთა სახლი“, წარმომადგენელი მისი დირექტორის - ირაკლი ღვინიაშვილის სახით.
მისამართი - ქ. თბილისი, ქსნის ქ. # 36
ტელ: 577 27 37 93; 593 67 67 78 .
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“, კოდი: **BAGAGE22**
ანგ # GE63BG0000000875239600

საიდენტიფიკაციო კოდი: **202458893**

ერთის მხრივ, „შემსყიდველი“ და მეორე მხრივ „მიმწოდებელი“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1.“ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2.“ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3.“დღე“,“კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4.“შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5.“მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც, ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6.“საქონელი“ - ხელშეკრულების მე - 2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პირადი ჰიგიენისა და საწმენდ-სარეცხი მასალის შესყიდვა **(CPV33700000 – 521,05; CPV19600000 -243,30; CPV39500000 -116,50; CPV 39800000 – 793,60)**, რომლის რაოდენობა და აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე - 3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს - **1 674,45 (ერთი ათას ექვსას სამოცდათოთხმეტი ლარი და 45 თეთრი)** ლარი.
3.2. ხელშეკრულების ობიექტის მახასიათებლები და ერთეულის ფასები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

№	საქონლის დასახელება/სპეციფიკა	CPV - კოდი	განზომილება /ერთეული/	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ნაგვის პარკი FB, შესაკრავით, 60x70სმ, 70ლ, ლურჯი,10ც.(30)	19640000	შეკვრა	3	4,8	14,4
2	ფრეკენ ბოკი ნაგვის პარკი–ფრეკენ ბოკი 50ც. 35ლ ცისფერი (40)	19640000	შეკვრა	11	6,1	67,1
3	ფრეკენ ბოკი ნაგვის პარკი–ფრეკენ ბოკი 20ც. 60x80/60ლ შავი (50	19640000	შეკვრა	3	7,6	22,8
4	მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი, შესაკრავით 35ლ/30	19640000	შეკვრა	1	12,7	12,7
5	მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი, შესაკრავით, მწვანე 35ლ/15	19640000	შეკვრა	6	9,45	56,7
6	ბი სმარტ ნაგვის პარკი 60ლ, 50ც, 6,5 მიკრ. HDPE (45),	19640000	შეკვრა	4	6,65	26,6
7	მელოჩი ჟიზნი ნაგვის პარკი 35ლ/30	19640000	შეკვრა	10	4,3	43
8	თეო საპონი თხევადი 800 მლ გეორგინი (12)	33711900	ცალი	2	7,6	15,2
9	თეო საპონი თხევადი 800 მლ ულტრა ჰიგიენა (12)	33711900	ცალი	1	7,6	7,6
10	თეო საპონი თხევადი 800 მლ გერბერა (12)	33711900	ცალი	2	7,6	15,2
11	თეო საპონი თხევადი 800 მლ კამელია (12)	33711900	ცალი	2	7,6	15,2
12	სელპაკ პირსახოცი 4x12ც 3 ფენა	33760000	შეკვრა	15	20,95	314,25
13	ტ/ქ ასფურცელა	33761000	შეკვრა	4	38,4	153,6
14	მარგიო 3 დ 125გრ/მ2 38/38 სმ 4ცალი	39525800	შეკვრა	15	3,3	49,5
15	მიკროფიბროს საწმენდი ტილო - თხელი	39525800	ცალი	10,000	6,7	67
16	ალფა სახეხი ნეჭა ტოფტელი (3+1)x60	39830000	ცალი	5	3,2	16
17	დომესტოსი ს/ზ ხუთი ძალა ოკეანე უნიტ. ჩასაკ.	39820000	ცალი	5	13,6	68
18	ბრეფი დელუქსი. ნაზი მაგნოლია 2x50 გრ.	39830000	ცალი	2	12,65	25,3
19	ბრეფი დელუქსი. მომაჯადოებელი მთვარის ყვავილი 2x50 გრ.	39830000	ცალი	1	12,65	12,65
20	ფეირი ლიმონი ჭურჭლის ჟელე 16x1000მლ	3983200	ცალი	5	5,95	29,75
21	დომესტოსი უნივერსალური საწმენდი საშუალება ფიჭვი 1250მლ	39820000	ცალი	10	9,75	97,5
22	სიფი კრემი უნივერსსაწმენდი საშუალება ულტრა თეთრი 450მლ	39820000	ცალი	13	5,5	71,5
23	დომესტოსი უნიტაზში ჩასაკიდი ხუთი ძალა ფიჭვი 55გრ	39820000	ცალი	5	13,6	68
24	მისტერ მუსკული გაჭედილი მილების გამწმენდი ფხვნილი 70 გრ. (24)	39810000	ცალი	7	7,6	53,2
25	სანო მილების საწმენდი 200 გრ (12)	39810000	ცალი	3	13,2	39,6
26	კომპაქტი AE-901 ჰაერის გამწ. ლავანდა 300 მლ	39811100	ცალი	5	5,15	25,75
27	კომპაქტი AE-909 ჰაერის გამწ. ოკეანე 300მლ	39811100	ცალი	3	5,15	15,45
28	კომპაქტი AE-919 ჰაერის გამწ. იაპონური ალუბალი 300მლ	39811100	ცალი	2	5,15	10,3
29	კომპაქტი AE-910 ჰაერის გამწ. ანტითამ 300მლ	39811100	ცალი	3	5,15	15,45
30	კომპაქტი AE-907 ჰაერის გამწ ლიმონი 300 მლ	39811100	ცალი	3	5,15	15,45
31	დომესტოსი უნივერს საწმენდი	39820000	ცალი	5	9,75	48,75

	საშუალება ატლანტიკა 1250მლ					
32	დომესტოსი უნივერს საწმენდი საშუალება თოვლის სიქათქათე 1250მლ	39820000	ცალი	5	9,75	48,75
33	ფრაბერი მარტა ლა ფარფალა ჰოუმ ბლექ ორხიდი 100მლ. "ჰაერის არომატიზატორი"	39811100	ცალი	1	14,95	14,95
34	ფრაბერი მარტა ლა ფარფალა ბლექ ფორესტ 100მლ. "ჰაერის არომატიზატორი"	39811100	ცალი	1	14,95	14,95
35	რუს. ბრეფი ლოტუსი 2x50გ	39830000	ცალი	2	12,65	25,3
36	სიფი კრემი უნივერასლური საწმენდი საშუალება ლიმონი 500მლ.	39820000	ცალი	5	5,5	27,5
37	ქლორი ეისი რეგულარი	39820000	ცალი	10	4,95	49,5
						1 674,45

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

4.4. დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი .

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს კოლეჯის
დირექტორი ან შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ჯვარი, ყაზბეგის ქ. №2.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1.. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მოაწოდოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. იგი პასუხისმგებელია მოწოდებული საქონლის ხარისხზე;

7.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. შემსყიდველი ვალდებულია:

7.3.1. უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემდეგი პირობებით:

8.1.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, ხოლო ამის შემდეგ მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

8.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს დირექტორი ან მატერიალურად პასუხისმგებელი პირი.

.

9 . ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოსაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 2 %- ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ პუნქტის 9.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.4. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად

იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის

შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების

10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების

შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით წერილობით ან

კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში

მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების

დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი

გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1.ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით,
მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.
13.2. მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები,
თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

14. ზოგადი დებულებები

14.1. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

14.2. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:	**მიმწოდებლის მხრიდან:**
სსიპ კოლეჯი „ლაკადა' -ს	**შპს „სუფთა სახლი" –ს დირექტორი**
დირექტორის მ/შ: თეანა ქუხილავა	**ირაკლი ღვინიაშვილი**
---	---

Mariam Ramishvili
Digitally signed by Mariam Ramishvili
Date: 2023.05.25 13:24:39 +04'00'